

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.01.2012, სარეგისტრაციო კოდი: 010190020.04.001.016032) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის „შ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შ) მაჟორიტარი კანდიდატი – საქართველოს პარლამენტის/ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებული, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით აგრეთვე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საქართველოს მოქალაქე;“.

2. 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვთ, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნონ მხოლოდ ორ-ორი წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული წარმომადგენლები არ შეიძლება იმავდროულად დანიშნონ სხვა საარჩევნო კომისიაში.“.

3. 78-ე მუხლის:

ა) მე-10 პუნქტის:

ა.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), თუ

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ან მათი წარმომადგენლები ან გააუქმა მათი რეგისტრაცია;“;

ა.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ შესაბამის საარჩევნო ოლქში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გატარდა.“;

ბ) მე-11 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), თუ ცესკოს თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სია, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ რეგისტრაციაში არ გაატარა საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატები, საკრებულოს არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სია, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები, პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატები, თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა)/თემის მერის/გამგებლის არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მერობის/გამგებლობის კანდიდატები, ან/და ამ კომისიების თავმჯდომარეებმა გააუქმეს მათი რეგისტრაცია;“;

ბ.ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საარჩევნო რეგისტრაციის მქონე, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს

(რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ საოლქო საარჩევნო კომისიაში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პარტიული/საარჩევნო ბლოკის სია, მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები, თვითმმართველი ქალაქის (გარდა ქალაქ თბილისისა)/თემის მერობის/გამგებლობის კანდიდატები რეგისტრაციაში საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გაატარა, აგრეთვე თუ მაჟორიტარული წესით წარდგენილი ან პარტიულ/საარჩევნო ბლოკის სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ვერ აკმაყოფილებენ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ მოთხოვნებს ან მათი ეს მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაკმაყოფილდა.“;

გ) მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისას), მაჟორიტარ კანდიდატს, მერობის/გამგებლობის კანდიდატს, დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ სარჩელი ეხება საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას.“.

4. 116-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს, ყოველ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩევის მიზნით წარადგინოს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითო კანდიდატი.“;

გ) მე-3 – მე-7 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტია/საარჩევნო ბლოკი საარჩევნო ოლქში მაჟორიტარ კანდიდატებს წარადგენს ამ კანონის 115-ე მუხლის მე-7–მე-11 პუნქტებით განსაზღვრული წესით.“;

ე) მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში არ გაატარებს საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს, თუ არასრული ან არასწორია ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები.“.

5. 117-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პარტიული სიისა და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატების საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კანონის 77-ე და 78-ე მუხლებით დადგენილი წესით.“.

6. 118-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) თუ გაუქმდა მისი წარმდგენი პარტიის/საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია ამ კანონის 114-ე მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე;“.

7. 119-ე მუხლის მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

8. 125-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა, თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს, საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს არჩევნების მეორე ტურის დღეს და ადგენს არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმს (თუ დაინიშნა მეორე ტური), ხოლო თუ არჩევნების მეორე ტური არ დაინიშნა, ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს; თუ დაინიშნა მეორე ტური, მეორე ტურის კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს.“;

ბ) მე-5 – მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა ტოლია მაჟორიტარული წესით მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრებისა და მისი პარტიული სისტემის ამ მუხლით დადგენილი წესით მიკუთვნებული მანდატების რაოდენობათა ჯამისა.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული i პარტიის/საარჩევნო ბლოკის კუთვნილი მანდატების რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$N_i = M_i \times (150 - P) : M$$

რიცხვის მთელი ნაწილი,

სადაც M_i არის ამ პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, P – მაჟორიტარული სისტემით იმ სუბიექტთა წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ზღურბლი, ხოლო M – იმ სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების ჯამი, რომლებმაც გადალახეს საარჩევნო ზღურბლი.

7. თუ პარტიების/საარჩევნო ბლოკების კუთვნილი, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული, მანდატების რაოდენობათა ჯამი (150-P)-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი დამატებით მიეკუთვნებათ იმ პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს, რომლებსაც ზემოაღნიშნული N_i -ის გამოთვლისას მეტი ნაშთი აქვთ.

8. თუ აღმოჩნდა, რომ ამ მუხლის მე-6 და და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად არცერთ სუბიექტს არ მიეკუთვნა 6-ზე ნაკლები მანდატი ან მაჟორიტარული სისტემით არცერთი სუბიექტის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა არ არის 6-ზე ნაკლები, საარჩევნო სუბიექტებისა და მათი პარტიული სიებისთვის მიკუთვნილებული მანდატების რაოდენობა განისაზღვრება ამ მუხლის მე-6, მე-7, მე-9 და 9¹ პუნქტებით დადგენილი წესით, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის 9² და 9³ პუნქტებით დადგენილი წესი.

9. თუ ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მაჟორიტარულ არჩევნებში უფრო ნაკლები მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად ამ სუბიექტს ეკუთვნის, ამ რაოდენობამდე შესავსებად მის პარტიულ სიას მიეკუთვნება შესაბამისი რაოდენობის მანდატები, წინააღმდეგ შემთხვევაში მის პარტიულ სიას მანდატები არ მიეკუთვნება.“;

გ) მე-9 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 9¹–9⁴ პუნქტები:

„9¹. თუ ერთი ან რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მაჟორიტარულ არჩევნებში იმდენივე ან უფრო მეტი მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად ამ სუბიექტს (სუბიექტებს) ეკუთვნის, მის პარტიულ სიას მანდატები აღარ მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი სუბიექტებისთვის მიკუთვნილებული მანდატების რაოდენობა გადაიანგარიშება და გამოითვლება ფორმულით:

$$N_k = M_k \times (150 - P - P_1) : M_1$$
 რიცხვის მთელი ნაწილი,

სადაც N_k არის k სუბიექტის (რომელმაც მაჟორიტარულ არჩევნებში ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების მიხედვით გამოთვლილ კუთვნილზე ნაკლები მანდატი მოიპოვა) კუთვნილი მანდატების რაოდენობა, M_k არის მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, P – მაჟორიტარული სისტემით იმ სუბიექტთა წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ზღურბლი, P_1 – იმ სუბიექტთა წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც მაჟორიტარულ არჩევნებში იმდენივე ან უფრო მეტი მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის მე-6 და მე-7

პუნქტების შესაბამისად მათ ეკუთვნოდათ, ხოლო M_1 – იმ სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების ჯამი, რომლებმაც მაჟორიტარულ არჩევნებში უფრო ნაკლები მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მათ ეკუთვნოდათ. თუ ყველა N_k -ს ჯამი $(150-P-P_1)$ -ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი დამატებით მიეკუთვნებათ იმ სუბიექტებს, რომლებსაც ზემოაღნიშნული N_k -ს გამოთვლისას მეტი ნაშთი აქვთ. ამის შემდეგ ამ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით განისაზღვრება k სუბიექტის პარტიული სიისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობა.

9². თუ აღმოჩნდა, რომ ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესის შესაბამისად თუნდაც ერთ სუბიექტს 6-ზე ნაკლები მანდატი მიეკუთვნა და მაჟორიტარული სისტემით იმავე სუბიექტის წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობაც 6-ზე ნაკლებია, ასეთი სუბიექტებისთვის პროპორციული და მაჟორიტარული სისტემებით მიღებული მანდატების რაოდენობის 6-მდე შესავსებად თითო მანდატი რიგრიგობით აკლდება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომელთა მანდატების რაოდენობაც სხვა სუბიექტების მანდატების რაოდენობაზე ნაკლები, მაგრამ 7-ზე მეტია.

9³. ამ მუხლის 9² პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტებისთვის მანდატების რაოდენობის 6-მდე შევსების შემდეგ დანარჩენი სუბიექტებისთვის მანდატების განაწილებისთვის გამოიყენება შემდეგი წესი:

ა) თუ ყოველი ასეთი სუბიექტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მაჟორიტარულ არჩევნებში უფრო ნაკლები მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის 9² პუნქტის შესაბამისად ამ სუბიექტს ეკუთვნის, ამ რაოდენობამდე შესავსებად მის პარტიულ სიას მიეკუთვნება შესაბამისი რაოდენობის მანდატები, წინააღმდეგ შემთხვევაში მის პარტიულ სიას მანდატები არ მიეკუთვნება;

ბ) თუ ერთი ან რამდენიმე ასეთი სუბიექტის მიერ წარდგენილმა კანდიდატებმა მაჟორიტარულ არჩევნებში იმდენივე ან უფრო მეტი მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის 9² პუნქტის შესაბამისად ამ სუბიექტს (სუბიექტებს) ეკუთვნის, მის პარტიულ სიას მანდატები აღარ მიეკუთვნება, ხოლო დანარჩენი სუბიექტებისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობა გადაიანგარიშება და გამოითვლება ფორმულით:

$$N_m = M_m \times (150 - P - 6n - P_2) : M_2 \text{ რიცხვის მთელი ნაწილი,}$$

სადაც N_m არის ზემოაღნიშნული m სუბიექტის კუთვნილი მანდატების რაოდენობა, M_m – მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, P – მაჟორიტარული სისტემით იმ სუბიექტთა წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც ვერ გადალახეს საარჩევნო ზღურბლი, n – იმ სუბიექტთა რაოდენობა, რომლებსაც ამ მუხლის 9² პუნქტის შესაბამისად 6-მდე შეევსოთ მანდატების რაოდენობა, P_2 – იმ სუბიექტთა წარდგენით არჩეულ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომლებმაც მაჟორიტარულ არჩევნებში

იმდენივე ან უფრო მეტი მანდატი მოიპოვეს, ვიდრე ამ მუხლის 9² პუნქტის შესაბამისად მათ ეკუთვნოდათ, ხოლო M₂ – ზემოაღნიშნულ m სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების ჯამი. თუ ყველა N_m-ის ჯამი (150-P-6n-P₂)-ზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი დამატებით მიეკუთვნება იმ სუბიექტებს, რომლებსაც ზემოაღნიშნული N_m-ის გამოთვლისას მეტი ნაშთი აქვთ. ამის შემდეგ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით განისაზღვრება m სუბიექტის პარტიული სიისთვის მიკუთვნებული მანდატების რაოდენობა.

9⁴. თუ 2-მა ან 2-ზე მეტმა პარტიულმა სიამ ხმების რაოდენობა თანაბარი მიიღო და მანდატების განაწილებისას აღმოჩნდა მანდატი, რომელიც მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შეიძლება მიეკუთვნოს, მანდატი მიეკუთვნება იმ სიას, რომელმაც ცესკოში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.“;

დ) მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. განმეორებითი კენჭისყრა შეიძლება დაინიშნოს როგორც არჩევნების პირველი ტურის, ასევე მეორე ტურის შემდეგ. განმეორებითი კენჭისყრა ტარდება, შესაბამისად, პირველი ან მეორე ტურიდან 2 კვირის ვადაში. ცესკო უფლებამოსილია განმეორებითი კენჭისყრის გამართვა დაავალოს საუბნო საარჩევნო კომისიის იმავე ან სხვა შემადგენლობას.“;

ე) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები.“;

ვ) მე-18 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 18¹ და 18² პუნქტები:

„18¹. მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს:

ა) საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები; განმეორებითი კენჭისყრის თარიღი (თუ დაინიშნა) და იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც დაინიშნა განმეორებითი კენჭისყრა; იმ საარჩევნო ოლქების ნომრები, რომლებშიც დაინიშნა ხელახალი არჩევნები და ხელახალი არჩევნების თარიღი;

ბ) ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მიხედვით: ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა; არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობა; თუ განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური არ დაინიშნა, არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის ვინაობა, მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და პროცენტი; არჩევნების მეორე ტურის ჩატარების თარიღი (თუ დაინიშნა), მეორე ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა და მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობა და პროცენტი.

18². არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს საქართველოს ამომრჩეველთა და ყოველი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობები; იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი და განმეორებითი კენჭისყრა არ ჩატარებულა, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქების ნომრები, რომლებშიც დაინიშნა ხელახალი არჩევნები და ხელახალი არჩევნების თარიღი; პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, მიღებული ხმების პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა; წარმდგენ საარჩევნო სუბიექტთა მიხედვით დალაგებული არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა სია, მათი პარტიული კუთვნილებისა და მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის (თუ ასეთ ოლქში იყო არჩეული) მითითებით.“;

ზ) მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნების, მაჟორიტარული სისტემით ჩატარებული არჩევნების პირველი ტურისა და არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენისთანავე ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ამ ოქმებს, ხოლო არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს გადასცემს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მას აქვეყნებს 2 დღის ვადაში.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი